



**საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
აღსრულების ეროვნული ბიურო
ბრძანება 1009**



KA012090471469516

27 / ოქტომბერი / 2016 წ.

თბილისი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის ზოგიერთი ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აღსრულების ეროვნული ბიუროს (შემდგომში - აღსრულების ეროვნული ბიურო) თავმჯდომარემ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/2/596 გადაწყვეტილების საფუძველზე, განიხილა, სააღსრულებო საქმის აღსრულების შეჩერებასთან დაკავშირებით, აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის მიერ გამოცემული ზოგიერთი ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აღსრულების ეროვნული ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 6 მაისის №24 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აღსრულების ეროვნული ბიუროს დებულების მე-5 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარემ გადაწყვიტა:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაში არსებული სააღსრულებო საქმეების აღსრულების შეჩერების შესახებ“ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 2016 წლის 4 ივლისის №2868 ბრძანება;

ბ) „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაში არსებული სააღსრულებო საქმის აღსრულების შეჩერების შესახებ“ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 2016 წლის 5 აგვისტოს №3587 ბრძანება;

გ) „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაში არსებული სააღსრულებო საქმის აღსრულების შეჩერების შესახებ“ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 2016 წლის 5 აგვისტოს №4085 ბრძანება;

დ) „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაში არსებული სააღსრულებო საქმის აღსრულების შეჩერების

შესახებ“ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 2016 წლის 30 აგვისტოს №4003 ბრძანება;

ე) „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაში არსებული სააღსრულებო საქმეების აღსრულების შეჩერების შესახებ“ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 2016 წლის 5 სექტემბრის №4087 ბრძანება;

ვ) „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაში არსებული სააღსრულებო საქმის აღსრულების შეჩერების შესახებ“ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 2015 წლის 1 ივლისის №2682 ბრძანება;

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ფაქტობრივი გარემოებები:

აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურული ერთეულის - აღსრულების პოლიციის სამმართველოს წარმოებაშია A13064290 სააღსრულებო საქმე, რომლის ფარგლებშიც უნდა განხორციელდეს უძრავი ქონების (მდებარე: ქ. ქუთაისი, ნიზამის ქ. №32 (ყოფილი აზერბაიჯანის №24)) სხვისი მფლობელობიდან/სარგებლობიდან გამოთხოვა და მესაკუთრისათვის თავისუფალ მდგომარეობაში გადაცემა.

აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურული ერთეულის - აღსრულების პოლიციის სამმართველოს წარმოებაშია A15084832 სააღსრულებო საქმე (კრედიტორი: მარინა კალაჩიანი, მოვალეები: ზაზა სინაურიძე, ნონა სინაურიძე, ნათია სინაურიძე, გიორგი სინაურიძე), რომლის ფარგლებშიც უნდა განხორციელდეს უძრავი ქონების (მდებარე: ქ.ქუთაისი, ნიკვას ქუჩა, მე-2 შესახვევი №21, ბინა №14) სხვისი მფლობელობიდან/სარგებლობიდან გამოთხოვა და მესაკუთრისათვის თავისუფალ მდგომარეობაში გადაცემა.

პროკურატურის მომართვის საფუძველზე დასახელებული სააღსრულებო საქმეები (A13064290, A15084832) „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაში არსებული სააღსრულებო საქმეების აღსრულების შეჩერების შესახებ“ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 2016 წლის 4 ივლისის №2868 ბრძანებით შეჩერდა 4 თვის ვადით.

აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურული ერთეულის - აღსრულების პოლიციის სამმართველოს წარმოებაშია A15021700 სააღსრულებო საქმე (კრედიტორი: ანა ასანიძე; მოვალეები: მიხეილ ბეროძე, ნოდარ ბეროძე, მარიკა ხიდირბეგიშვილი), რომლის ფარგლებშიც უნდა განხორციელდეს უძრავი ქონების (მდებარე: ქ. თბილისი, შმიდტის ქ. №20, მე-4 სართ., ბინა №7) უკანონო მფლობელობიდან/სარგებლობიდან გამოთხოვა და კრედიტორისათვის გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაცემა.

პროკურატურის მომართვის საფუძველზე დასახელებული A15021700 სააღსრულებო საქმე „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაში არსებული სააღსრულებო საქმის აღსრულების შეჩერების შესახებ“ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 2016 წლის 5 აგვისტოს №3587 ბრძანებით, ბრძანებით შეჩერდა 2016 წლის 6 ნოემბრამდე;

აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიული ორგანოს - თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია სააღსრულებო საქმე A12076591 (კრედიტორი - სს „ბანკი რესპუბლიკა“, მოვალეები: შპს „ლეონ“, ელგუჯა ელიაური, დავით ადეიშვილი, ანზორ ადეიშვილი, ზურაბ ცქიტიშვილი, ვალენტინა არჩვაძე).

პროკურატურის მომართვის საფუძველზე დასახელებული A12076591 სააღსრულებო საქმე, კონკრეტული ქონებების რეალიზაციის ნაწილში „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაში არსებული სააღსრულებო საქმის აღსრულების შეჩერების შესახებ“ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 2016 წლის 5 აგვისტოს №4085 ბრძანებით შეჩერებულია სამი თვის ვადით.

აღსრულების ეროვნულ ბიუროს ახორციელებს სააუქციონო მომსახურებას კერძო აღმასრულებლის, მერაბ პაპიძის, წარმოებაში არსებულ A16021267 საქმეზე.

პროკურატურის მომართვის საფუძველზე „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაში არსებული სააღსრულებო საქმის აღსრულების შეჩერების შესახებ“ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 2016 წლის 30 აგვისტოს №4003 ბრძანებით შეჩერდა დასახელებული A16021267 საქმის აღსრულება სამი თვის ვადით.

აღსრულების ეროვნული ბიურო ახორციელებს სააუქციონო მომსახურებას კერძო აღმასრულებლის, ბექა ბაბაკიშვილისათვის A14027725 და A14027715 სააღსრულებო საქმეებზე.

პროკურატურის მომართვის საფუძველზე „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაში არსებული სააღსრულებო საქმეების აღსრულების შეჩერების შესახებ“ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 2016 წლის 5 სექტემბრის №4087 ბრძანებით შეჩერდა დასახელებული საქმეების აღსრულება კონკრეტული ქონების ნაწილში, ორი თვის ვადით.

აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიული ორგანოს - თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაში №01/08-03-00099 სააღსრულებო საქმე (კრედიტორი: სახელმწიფო ბიუჯეტი, მოვალე: ნუგზარ შავთვალაძე).

პროკურატურის მომართვის საფუძველზე „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაში არსებული სააღსრულებო საქმის აღსრულების შეჩერების შესახებ“ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 2015 წლის 1 ივლისის №2682 ბრძანებით შეჩერდა აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაში არსებულ №01/08-03-00099 სააღსრულებო საქმეზე (კრედიტორი: სახელმწიფო ბიუჯეტი, მოვალე: ნუგზარ შავთვალაძე) აღსრულება საქართველოს მთავარ პროკურატურაში ნუგზარ შავთვალაძის მიერ წარდგენილ №01/13-29288 განცხადებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

სამართლებრივი დასაბუთება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამავე კოდექსის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის ძალადაკარგულად გამოაცხადოს კანონის შესაბამისად გამოცემული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ გაუქმდა ან შეიცვალა შესაბამისი ნორმატიული აქტი, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ართმევს შესაძლებლობას გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ადმინისტრაციული აქტის მოქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს; ხოლო მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის ძალადაკარგულად გამოაცხადოს კანონის შესაბამისად გამოცემული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოება, აგრეთვე შესაბამისი სამეცნიერო-ტექნიკური აღმოჩენა ან გამოგონება, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ართმევს შესაძლებლობას გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ადმინისტრაციული აქტის მოქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/2/596 გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მეორე პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და ამავე კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის სიტყვების: „გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით პროკურორი აღსრულების ეროვნულ ბიუროს წარუდგენს დასაბუთებულ წერილობით მოთხოვნას ან განსაკუთრებული ვითარების გამო ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე“ ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების შესაძლებლობას სასამართლო კოტროლის გარეშე.

წინამდებარე ბრძანებაში მითითებული, სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე მიმდინარე

სააღსრულებო საქმეების აღსრულება შეჩერებულია აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის შესაბამისი ბრძანებებით, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე; დღეის მდგომარეობით, კი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ძალადაკარგულია ციტირებული ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების შესაძლებლობას სასამართლო კონტროლის გარეშე. შესაბამისად, აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარეს აღარ აქვს კანონისმიერი შესაძლებლობა გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ამავდროულად, მოცემულ შემთხვევებში აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის ბრძანებით შეჩერებულია სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მიმდინარე სააღსრულებო საქმეები, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს როგორც გადაწყვეტილებათა აღსრულების უზრუნველყოფის საჯარო ინტერესს, ასევე კრედიტორების ინტერესებს.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გათვალისწინებით, მართებულად იქნა მიჩნეული, წინამდებარე ბრძანებაში დასახელებული ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტების ძალადაკარგულად გამოცხადება.

ეს ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს მისი დაინტერესებული მხარისათვის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ.).

აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე



ოსებ ბაღათურია